“მარგოს პირადი დღიური”

თავი III

დღე მძიმე იყო... თითქოს ყველაფერი ერთდროულად დამაწვა გულზე.

ჯაყოს სახლში ყოფნა უკვე აუტანელი ხდება. მისი ყოველი სიტყვა, ყოველი მოძრაობა ჩემში ზიზღსა და შიშს იწვევს. ვგრძნობ, როგორ ვკარგავ სიმშვიდეს. აქ ყველაფერი უცხოა გარემო, ადამიანები, თვითონ ჩემი მდგომარეობაც კი.

ხშირად ვფიქრობ, როგორ მივედი აქამდე. ნუთუ ეს ჩემი ცხოვრებაა? ადრე ხომ სხვა ყველაფერი მქონდა სილამაზე, სიამაყე, იმედი. ახლა კი თითქოს ყველაფერი ხელიდან მეცლება.

თეიმურაზი ჩემ გვერდით არის, მაგრამ მისი ყოფნა ვერ მაძლევს დაცულობის განცდას. პირიქით, უფრო მეტად მაფიქრებს მისი სისუსტე. მინდა, რომ ვინმემ მიხსნას, მაგრამ ვხვდები არავინ მოვა.

სარკეში რომ ჩავიხედე, ჩემი თვალები ველარ ვიცანი. თითქოს იქ უკვე აღარ ვცხოვრობ მე...

თავი IV

დღეს კიდევ უფრო მძაფრად ვიგრძენი ჩემი მდგომარეობა.

შიში ნელ-ნელა სასოწარკვეთად გადაიქცა. ვხედავ, როგორ იშლება ყველაფერი, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო. ჩემი ღირსება, ჩემი სიამაყე თითქოს ნელ-ნელა ქრება.

ჯაყოს ყოფნა უკვე მხოლოდ შიში აღარ არის ეს არის ტკივილი, რომელიც სულში მიჭამს. მისი ძალაუფლება მაჩქმალავს. ვგრძნობ, როგორ ვკარგავ საკუთარ თავს.

თეიმურაზი... მისი სუსტი ბუნება ჩემთვის ყველაზე მძიმე აღმოჩნდა. ადრე მეგონა, რომ მას შეეძლო ჩემი დაცვა, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ თავადაც დაკარგულია. ეს კიდევ უფრო მიმძიმებს მდგომარეობას.

ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ იმედი მეკარგება. აღარ ვიცი, არსებობს თუ არა გამოსავალი.

მინდა გავიქცე, მაგრამ სად?

მინდა დავიბრუნო თავი, მაგრამ როგორ?

მხოლოდ ერთი რამ ვიცი ასე დიდხანს ვერ გავძლებ...

— მარგო

სტუდენტი: მარიამ ივანიძე

მოდული: კომუნიკაცია ქართულ ენაზე